Funded by the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის ინიციატივის განმარტება საქართველოს სამთავრობო ინსტიტუტებისთვის

კონტექსტი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ (EU4Environment) ფარგლებში, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) ხელს უწყობს ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP) ინიციატივისა და პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის პოპულარიზაციას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგია ეხმარება კომპანიებს გაზომონ პროდუქციის გარემოსდაცვითი ეფექტურობა და მდგრადი პროდუქციის ბაზარზე სათანადო ადგილი დაიმკვიდრონ. საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებში გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) ორიენტირებულია არსებული პრაქტიკებისა და პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვის ბარიერების აღრიცხვაზე (ადარებს ხელმისაწვდომ ეტიკეტირების მექანიზმებს), ამასთანავე, კონცენტრირებულია SMGP ინიციატივასთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და უპირატესობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, რათა ხელი შეეწყოს პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგიის პილოტირებასა და წახალისებას შერჩეულ ინდუსტრიებში.

მოცემული ბროშურა PEF-ის მიერ გამოყოფილი რესურსების ნაწილია და შექმნილია, ეკო-მეგობრული პრაქტიკების საქართველოში პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის

2013 წელს ევროკომისიამ ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP) ინიციატივა შეიმუშავა, რათა ხელი შეუწყოს სამართლიანი თანაბარი პირობების შექმნას იმ პროდუქტების თუ კომპანიების გარემოზე ზემოქმედების გავლენის შესახებ კომუნიკაციისთვის, რომლებიც ევროკავშირის ბაზარზე შედიან. ინიციატივა აერთიანებს პროდუქტისა და ორგანიზაციის გარემოსდაცვითი კვალის (PEF და OEF) მეთოდოლოგიებს, რომელიც კომპანიებს ეხმარება დაასაბუთონ საკუთარი საქმიანობის გარემომეგობრულობა. თავის მხრივ, აღნიშნული მეთოდოლოგიები უზრუნველყოფს, რომ საწარმოებისთვის შემუშავებული იყოს ერთიანი მიდგომა, პროდუქციის გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად, ამავდროულად, მომხმარებლებს მიაწვდის მართებულ ინფორმაციას და ცნობიერებას აამაღლებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე. ხსენებული გზით, ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP) ინიციატივა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გარემოს მიმართ პასუხისმგებლიან ეკონომიკურ ზრდას.

პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი (PEF)

პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი (PEF)[1] უზრუნველყოფს სამართლიან კონკურენციას მწარმოებლებს შორის და აუმჯობესებს პროდუქტების გარემოსდაცვითი ეფექტურობის შედარებითობასა და ამის თაობაზე კომუნიკაციას. ევროკომისიამ პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგია წარადგინა, როგორც პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გაზომვის სტანდარტული გზა, პროდუქტის სიცოცხლის სრული ციკლის განმავლობაში (ნედლეულის მოპოვება; წარმოება, გადაზიდვა დაე გამოყენება; ნარჩენების საბოლოო მართვა). პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) შეფასების მეთოდოლოგია, ასევე, საშუალებას იძლევა 16 სხვადასხვა გავლენის კატეგორიაზე დაყრდნობით პროდუქტზე გარემოსდაცვითი გავლენა გამოითვალოს. ხსენებულ კატეგორიებს მიეკუთვნება კლიმატის ცვლილება, მჟავიანობა, ევტოფიცირება, რესურსებით სარგებლობა და სხვა.[2]

სხვადასხვა გავლენის კატეგორიების შედეგები შემდგომში სტანდარტიზდება და მრავლდება შეწონილ ცვლადებზე, რათა საერთო შეფასების ქულა დადგინდეს. აღნიშნული, განსაზღვრავს პროდუქტის გარემოსდაცვითი გავლენის საერთო პროფილს. პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის კატეგორიის წესები (PEFCR) შემდგომში გამოიყენება ზუსტი მოდელირებისთვის და ერთიდაიმავე კატეგორიის პროდუქციის შედარებისა და ბენჩმარკინგის უზრუნველსაყოფად.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მიდგომა როგორც გზა მდგრადობისკენ

სასიცოცხლო ციკლის მიდგომა (LCT)[3] სისტემური მიდგომაა, რომელიც პროდუქტების გარემოზე ზემოქმედებას ითვალისწინებს, მათ შორის წარმოების პროცესის მიღმა. აღნიშნული მიდგომა, წარმოების პროცესების გაუმჯობესების გზით, ყურადღებას ამახვილებს მდგრადობის პრაქტიკების განმტკიცებაზე, რაც თავის მხრივ, გამოიხატება გარემოზე ზემოქმედების შემცირებასა და რესურსების გამოყენების მინიმიზაციაში.

სასიცოცხლო ციკლის შეფასება ანალიტიკური და სისტემური მეთოდია, რომელიც გამოიყენება პროდუქტის სავარაუდო/პოტენციური გარემოსდაცვითი ასპექტების შესაფასებლად, სასიცოცხლო ციკლის ყველა საფეხურზე.

სასიცოცხლო ციკლის შეფასება სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის რაოდენობრივი მიდგომაა. პროდუქტის გარემოსდაცვითი და საორგანიზაციო კვალის (PEF, OEF) შეფასების მეთოდოლოგია შექმნილია პროდუქტების და ორგანიზაციების სასიცოცხლო ციკლის გარემოსდაცვითი ეფექტურობის შესაფასებლად სასიცოცხლო ციკლის შეფასების მოდელის გამოყენებით.

პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) როლი და პოტენციური სარგებელი საქართველოს მთავრობისთვის

ეროვნული ინიციატივები სტრატეგიული განვითარებისთვის

პოლიტიკის ცვლილება და სტრატეგიული მიმართულება: მოცემული ეტაპისთვის, საქართველოს მწვანე პრაქტიკების განვითარების (კერძოდ, ეკო-მეგობრული ეტიკეტირება) ეროვნული სტრატეგიული ჩარჩო-დოკუმენტი არ აქვს შემუშავებული. მსგავსი ტიპის დამხმარე დოკუმენტი არსებითია კონკრეტული ამოცანების, მიზნების,

ინსტრუმენტებისა და წამახალისებელი მექანიზმების დასადგენად, რათა შესაძლებელი იყოს მწვანე თუ ეკო-ეტიკეტირების სარგებლის პოპულარიზაცია ქართული ინდუსტრიების მასშტაბით. ასევე, მნიშვნელოვანია დარგობრივმა ასოციაციებმა და კავშირებმა აქტიური როლი ითამაშონ შესაბამისი ეტიკეტირების სახელმძღვანელოების განვითარებისა და მათი უპირატესობების პოპულარიზაციის კუთხით.

ხსენებული ინიციატივის წარმატების უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მრავალფეროვანი ჯგუფების ჩართულობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და სანდო მონაცემების შერწყმა. ეს ასპექტები გაუმჯობესებს ეროვნული სტრატეგიის ჩარჩოს ეკო-მეგობრული ეტიკეტირების მიმართულებით და უზრუნველყოფს ეტიკეტების გამოყენების მკაფიო და ყოვლისმომცველი მიდგომის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ქვეყანას დაეხმარება გარემოსდაცვითი პრიორიტეტების შესრულებაში და მწვანე და წრიული ეკონომიკის განვითარებაში.

მონიტორინგი და შეფასება: აუცილებელია ჩამოყალიბდეს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური სისტემა, რომელიც შეაფასებს პროგრესისა და შესრულების ინდიკატორებს. ოპტიმალური შედეგების მისაღწევად, მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს აღმასრულებელი ორგანო, რომელშიც ჩართული იქნებიან ძირითადი ინდუსტრიული კლასტერების წარმომადგენელი შესაბამისი დაინტერესებული მხარეები.

საკანონმდებლო ცვლილებები: მწვანე და ეკო-მეგობრული ეტიკეტირების მიმართულებამ 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში დაიწყო განვითარება, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ეტიკეტირების სისტემა დაინერგა ქვეყანაში. ამჟამად, ჩამოყალიბებულია ავტორიზებული ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც სექტორის განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია საქართველოში ეკოლოგიის სფეროსთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჰარმონიზება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ნორმებისა და პოლიტიკის დოკუმენტების სინერგია. ამასთანავე, ზოგადი ეკოლოგიური სტანდარტები ორგანული მეურნეობის მეთოდებისა და მოთხოვნების მიღმა, აუცილებელია გავრცელდეს ისეთ ეტიკეტებზე, როგორიცაა „ორგანული“, „ეკო-მეგობრული“, „მწვანე“ და ა.შ.. „ბიოწარმოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №198 დადგენილების[4] (ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად)[5] და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის[6] საფუძველზე, ეკოლოგიური და მდგრადი პროდუქტების ეტიკეტირების პროცესი თანმიმდევრული და სტანდარტიზებული ნორმების ნაკლებობას განიცდის, იქნება ეს ადგილობრივი მოხმარებისთვის განკუთვნილი თუ საექსპორტო პროდუქცია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საფუძვლები არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, მომსახურებისა თუ ორგანიზაციების ეკო-მეგობრული ეტიკეტირების მიზნით. ხსენებული ინიციატივის განხორციელება, სასურველია, დაეყრდნოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და მოცემული მიმართულებით სხვადასხვა მოწინავე ქვეყნის გამოცდილებას.

შესაძლებლობების გაძლიერება

მდგრადი განვითარების პრაქტიკების ხელშეწყობისა და ჩამოყალიბების მიზნით, მნიშვნელოვანია, შესაბამისი სამთავრობო უწყებების გაძლიერება მხარდამჭერი გარემოს შექმნის პროცესში. მდგრადი ინიციატივების გრძელვადიანი წარმატებისათვის შესაძლებლობების გაძლიერებას უმთავრესი როლი აქვს. აუცილებელია პროცესი მოიცავდეს და მორგებული იყოს ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარეზე - მათ შორის ინდუსტრიის წარმომადგენლები, აკადემია, სამოქალაქო საზოგადოება და მთავრობა. შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები მნიშვნელოვანია მოიცავდეს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა ეკო-მეგრობრული ეტიკეტირების პრაქტიკების განვითარება და განხორციელება. აღნიშნული ემსახურება მდგრადი პროდუქტებისა და მომსახურების იდენტიფიცირებას და ხელშეწყობას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს ქვეყანაში მიმდინარე პროექტების სინერგიას, რაც თავის მხრივ, დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების შესაძლებლობას შექმნის.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საჭიროება აკრედიტაციისა და სერტიფიცირების ორგანოების გაძლიერებას გულისხმობს. ხსენებული ორგანიზაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მდგრადი პრაქტიკების შეფასებისა და დადასტურების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს გარანტიებს მომხმარებლებისა და ბაზრისათვის.

უფრო მეტიც, ეტიკეტირების სტანდარტებისა და მოთხოვნების თაობაზე ტრეინინგების უზრუნველყოფა თანაბრად მნიშვნელოვანი საკითხია. აღნიშნული გააძლიერებს და ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეებისთვის ცოდნის გადაცემას მდგრადი ეტიკეტირების კრიტერიუმებისა და მის მიმართ არსებულ მოლოდინებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექნიკური დახმარება ეკო-მეგობრული ეტიკეტირების სისტემების დანერგვის მხარდასაჭერად, რაც დაინტერესებულ მხარეებს გაუადვილებს ნავიგაციას მდგრადი პრაქტიკების დანერგვის პროცესში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების კუთხით და ხელს შეუწყობს ვალდებულებების შესრულებას წრიული ეკონომიკის გზაზე.

ცნობიერების ამაღლება

საქართველოში ეკო-ეტიკეტირების თაობაზე ცნობიერების ეფექტურად ამაღლების მიზნით, აუცილებელია ზედმიწევნით დაგეგმილი და ყოვლისმომცველი მიდგომის არსებობა. ხსენებული გულისხმობს სტრატეგიულ დაგეგმვას და იმ აქტივობების განხორციელებას, რომელიც შესაძლებელს გახდის პროცესში ჩართული იყოს სამიზნე აუდიტორია და მიღწეულ იქნას გრძელვადიანი შედეგი. მოცემული მიზნისთვის რამდენიმე ძირითადი ნაბიჯია გასათვალისწინებელი.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, ჩატარდეს საბაზისო კვლევები, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ქცევის ძირითადი ფაქტორების დადგენას, მოახდენს სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირებას და გამოავლენს მოხმარების ტენდენციებსს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ცნობიერების ამაღლების შემდგომი მცდელობები შესაძლებელი იქნება მოერგოს კონკრეტულ საჭიროებებს და პრიორიტეტებს.

ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ციფრულ მიმართულებას. დღევანდელ ციფრულ ეპოქაში ონლაინ პლატფორმები და არხები აუცილებელი გზაა ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციის დასამყარებლად. ციფრული სტრატეგიის შემუშავება, მათ შორის სათანადო ვებგვერდი, აქტიური სოციალური მედია, და შესაბამისი ონლაინ კონტენტი ხელს შეუწყობს ინფორმაციის გავრცელებას ეკო-მეგობრული ეტიკეტირებისა და პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) უპირატესობების თაობაზე, ამასთანავე, წაახალისებს ჩართულობას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია გავლენიან ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა. მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან პარტნიორობით, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საზოგადოებრივ აზრსა და ქცევაზე (როგორიცაა გარემოსდაცვითი ჯგუფები/მდგრადობაზე ორიენტირებული ინსტიტუტები), შესაძლებელია ცნობიერების ამაღლების კამპანიების მასშტაბი და სანდოობა გაიზარდოს.

ყველაფერთან ერთად, მნიშვნელოვანია არსებული კამპანიები შეესაბამებოდეს პოლიტიკის შემუშავების ამჟამინდელ ძალისხმევას. ისეთი მიმდინარე ინიციატივების კოორდინირებით, რომელიც ხელს უწყობს მდგრადობას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალისა (PEF) და ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის (SMGP) ინიციატივის პოტენციური სარგებელი შესაძლებელია გამყარდეს და ინტეგრირებული იყოს მდგრადობის მეტად ფართო დღის წესრიგში. აღნიშნული კორდინაცია უზრუნველყოფს ერთიან და თანმიმდევრულ მიდგომას, რაც მაქსიმალურად ზრდის ცნობიერების ამაღლების აქტივობების გავლენასა და ეფექტურობას.

მხარდაჭერის მექანიზმები

მხარდამჭერ მექანიზმებს შორის სინერგია: ეკო-ეტიკეტირების წარმატებით დანერგვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია სხვადასხვა პროექტის განხორციელება ენერგოეფექტურობის, ორგანული სოფლის მეურნეობის და სხვა მიმართულებებით. (რომელიც უკვე განხორციელებულია ან მიმდინარეობს). მოცემული მაგალითები ხელს შეუწყობს აუცილებელი წინაპირობის შექმნას სინერგიის გასაძლიერებლად. 2021-2024[7] წლის სამთავრობო პროგრამა ნათლად გამოკვეთს მთავრობის გრძელვადიან ხედვა მწვანე ეკონომიკის განვითარებას მიმართულებით. მიუხედავად ამისა, კონკრეტული მხარდაჭერის პროგრამები აუცილებელია უწყებებს შორის მწვანე პრაქტიკების პოპულარიზაციისთვის.

ფინანსური წახალისების მექანიზმები: საქართველოში ეკო-ეტიკეტირების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, მნიშვნელოვანია დაინერგოს კონკრეტული წამახალისებელი მექანიზმები გარემოსადმი პასუხისმგებლიანი ბიზნესისათვის. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს მჭიდრო თანამშრომლობა მთავრობას, ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებსა და საფინანსო ინსტიტუტებს შორის, რათა ეტიკეტირება, მწვანე პრაქტიკები და რესურსების ეფექტიანობის საკითხი ინტეგრირებული იყოს მიმდინარე ფინანსურ პროდუქტებში. ასევე, საქართველოში ეკო-მეგობრული ეტიკეტირების პრაქტიკების დანერგვის მიზნით შესაძლოა შემუშავდეს და შეფასდეს გარემოსდაცვითი საგადასახადო შეღავათები (შემცირებული საგადასახადო სქემები, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ტექნოლოგიებისთვის (RECP)), ისევე, როგორც შეიქმნას სუბსიდირების ტიპის მხარდამჭერი პროგრამები, თანადაფინანსების საკონსულტაციო სერვისები.

როგორ უწყობს ხელს პროგრამა „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ (EU4ENVIRONMENT) პროდუქტის გარემოსდაცვით კვალს (PEF)?

„ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ აქტივობა მიზნად ისახავს დაეხმაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს - შეინარჩუნონ საკუთარი ბუნებრივი რესურსები და გააუმჯობესონ მოსახლეობის ეკოლოგიური კეთილდღეობა და გააძლიერონ მწვანე ეკონომიკურ ზრდა. პროგრამის ინიციატივები მხარს უჭერს პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, ინვესტიციისა და დაგეგმვისას მწვანე ასპექტების გათვალისწინებას და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირებას ახალი ბიზნეს მოდელების მიღებითა და მწვანე სამუშაო ადგილების შექმნით.

„ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ აქტივობა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებში გაზრდის ცნობიერებას PEF მეთოდოლოგიის პოტენციური სარგებლისა და გავლენის შესახებ; შექმნის ადგილობრივ შესაძლებლობებს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში; ადგილობრივ ინდუსტრიებს დაეხმარება, რომ მომზადებული დახვდნენ სამომავლო პოლიტიკის, დანერგვას რომელიც მოიცავს PEF მეთოდოლოგიას; და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო შესაძლებლობებს ადგილობრივი ექსპერტებისათვის უფრო მდგრადი წარმოების შესახებ, საპოლოტე კვლევებისა გამოყენებისა და კონკრეტული რეკომენდაციების მიცემის გზით. გარდა ამისა, UNIDO განახორციელებს ცნობიერებისა ამაღლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს მწვანე პოლიტიკის უფრო ფართო მასშტაბურ მხარდაჭერას საქართველოში.

შენიშვნა:

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ და მხოლოდ UNIDO და იგი აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის მოსაზრებას.

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური რედაქტირების გარეშე. მასში გამოყენებული აღნიშვნები და მასალა არ გამოხატავს გაერთიანებული ერების ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) სამდივნოს მოსაზრებებს რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რეგიონის, მისი უწყებების ან საზღვრების დელიმიტაციის, მისი ეკონომიკური სისტემისა თუ განვითარების დონის შესახებ. ისეთი დასახელებები, როგორიცაა ,,განვითარებული'', ,,ინდუსტრიული'' ან ,,განვითარებადი'' მოხსენიებულია სტატისტიკური მიზნით და აუცილებლად არ ასხვს, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან ტერიტორიის მიერ მიღწეულ განვითარების დონეს.კომპანიის და კომერციული პროდუქციის დასახელებების მოხსენიება არ გულისხმობს UNIDO-ს მიერ მათ რეკლამირებას. საინფორმაციო ფურცელში ასახული მოსაზრებები, ციფრები და გამოთვლები არის მხოლოდ და მხოლოდ მისი ავტორების პასუხისმგებლობა და არ უნდა იყოს მიჩნეული UNIDO-ს და მისი წევრი სახელმწიფოების მოსაზრებად.

© – 2023 – UNIDO. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირის მიერ შესაბამისი პირობებით.

საკონტაქტო ინფორმაცია
გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია
„ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“(EU4Environment) პროექტის მენეჯერი
ტატიანა ჩერნიავსკაია
ტელ.: +43 1 26 0 26 5520
E-mail: t.chernyavskaya@unido.org
ვებ-გვერდი: www.unido.org

[1,2] წყარო: https://green-business.ec.europa.eu/environmental-footprint-methods_en
[3] წყარო: https://eplca.jrc.ec.europa.eu/uploads/LCT-Making-sustaina-ble-consumption-and-production-a-reality-A-guide-for-business-and-policy-makers-to-Life-Cycle-Thinking-and-Assess ment.pdf
[4] წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1978999?publication=0
[5] წყარო: https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summa-ry/eu-rules-on-producing-and-labelling-organic-products-from-2022.html
[6] წყარო: https://matsne.gov.ge/en/document/view/1659434?publication=15
[7] წყარო: https://www.gov.ge/files/41_78149_280277_GP.pdf